PDF Eraser Free

დანართი №2

ა(ა)იპ კოლეჯ „იკაროსის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრი:

მაკო ჯაოშვილი

თბილისი, 2021 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი „იკაროსი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

[redacted] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსის“ მიერ ა(ა)იპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 25 მარტს წარმოდგენილ იქნა განაცხადი "ღონისძიების ორგანიზების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 14 აპრილის N 357624 ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზების“დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია, შეადგინეს და ცენტრის წარმომადგენლის დახმარებით დაწესებულებასთან შეათნხმეს განრიგი. 2021 წლის 23 აპრილს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ განხილვის მიზნით განრიგის მიხედვით ჩატარდა დისტანციური ვიზიტი, პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით. ავტორიზაციის ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, ბიბლიოთეკარს, დაათვალიერეს დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმართებაში კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ბიბლიოთეკა. ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საუკეთესო გამოცდილება არ დაფიქსირებულა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის ფარგლებში რეკომენდაციები არ იყო გაცემული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ღონისძიების ორგანიზება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში / Secondary Vocational Qualification in Event Managment
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N01-09/49, 25 მარტი 2021 წელი
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	მარშალ გელოვანის გამზირი N4, თბილისი 0159,
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	90 პროფესიული სტუდენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	45 პროფესიული სტუდენტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ დირექტორის მიერ 2020 წლის 3 ივნისის ბრძანებით N01-09/ 71 დამტკიცებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“. აღნიშნული წესის მუხლი 2 ეძღვნება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესსა და პროცედურას. შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ავტორიზაციის გზით დამატების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების შესახებ, ასევე ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს დაზუსტდა პროგრამის შემუშავების პროცესის შესახებ ინფორმაცია და დადგინდა, რომ კოლეჯის წარმომადგენლები პროფესიული პროგრამების შმუშავებისას ეყრდნობიან ზემოაღნიშნულ წესს და იცავენ პროცედურებს.

ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ მისია ითვალისწინებს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ტურიზმისა და მომსახურების სფეროს მიმართულების პროფესიული კვალიფიციების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმაში განსაზღრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობის ღონისძიებების გატარება, ასევე, ინტეგრირებული სწავლების დანერგვა და განვითარება, ხოლო კოლეჯ ,,იკაროსის“ ერთწლიან სამოქმედო გეგმაშიკი შეტანილია აქტივობები ,,მეოთხე დონის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზება -„ღონისძიების ორგანიზება“ - ბაზრის კვლევა, შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის განხილვა, პროგრამების შემუშავება და დამტკიცების პროცედურების ორგანიზება, პროგრამების ავტორიზაცია და მეოთხე დონის პროფესიული პროგრამაში ზოგადი განათლების მოდულების ინტეგრირება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - ღონისძიების ორგანიზება“ ზოგადი განათლების საფეხურის სწავლების უფლების მოპოვება“. ყოველივე ზემოაღნიშნულით დადგინდა, რომ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნებაკოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ღონისძიების ორგანიზება“ დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება - დანართი N1.1-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ არაინტეგრირებულ სწავლებაზე. საბაზო განათლება - დანართი N1.2-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინტეგრირებულ სწავლებაზე, რითიც ის უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით და დაწესებულებაში დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების ჩარიცხვა ხდება პროფესიის მოსინჯვის საფუძველზე.

3. კოლეჯში ,,იკაროსი“ დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/72 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით შემუშავებული დოკუმენტით დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ღონისძიების ორგანიზება“ ფარგლებში აფასებს მისი განხორციელების სპეციფიკას, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემოს გამტარუნარიანობას, საბიბლიოთეკო რესურსებს, ადამიანური რესურსებს, პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების რესურსების საკმარისობას და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ადგენს პროგრამაზე მოსათხოვნი პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას (90 პროფესიული სუდენტი, მათ შორის 45 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სწავლებისთვის);

4. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ განხორციელებისთვის პროგრამაში და მოდულებში მითითებული მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები რელევანტურია და უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“ მოიცავს 2 არჩევით მოდულს ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება“ და ,,ღონისძიების ორგანიზება“, რომელთა საჭიროების შესახებ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ინფორმაცია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების ფარგლებში და ისინი ლოგიკურ ბმაშია შინაარსობრივად როგორც პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, ასევე პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

6. ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ დირექტორის მიერ 2020 წლის 3 ივნისის ბრძანებით N01-09/ 71 დამტკიცებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

აღნიშნული წესის მე-5 მუხლის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის მიერ 2021 წლის 25 მარტს N01-09/49 ბრძანებით.

7. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება „ღონისძიების ორგანიზება“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, წინასწარ დაგეგმილ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის “საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება” (04119-პ) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანება “საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე. მასში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია და სხვ. დაწესებულების წარმოგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი სრულყოფილია, მოდულები სათანადო წესით ადაპტირებულია, სასწავლო გეგმა წარმოდგენილია ინტეგრირებული სწავლებისთვის (3 წელიწადზე გაწერილი) და არაინტეგრირებული სწავლებისთვის (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 74 კვირაზე, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის კი 104 კვირაზე გაწერილი). ყოველივე აღნიშნული გარემოებეიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა ,,ღონისძიების ორგანიზება“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ 2020-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ვებგვერდი icarus.edu.ge
- ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ დირექტორის მიერ 2021 წლის 25 მარტს N01-09/49 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“;
- ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ კოლეჯის წესდება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- ს(ა)იპ „კოლეჯი „იკაროსი“ დირექტორის მიერ 2020 წლის 3 ივნისის ბრძანებით N01-09/ 71 დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“.
- პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- კოლეჯ იკაროსის დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/72 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- „პროგრამაზე „ღონისძიების ორგანიზება“პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან.
   ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის - 90 პროფესიული სტუდენტისთვის, რისთვისაც კოლეჯში მოწყობილია 4 A, 2 B და 3 C გარემო შესაბამისი აღჭურვილობით, ჯგუფში 15-15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ადგილებით. A და B გარემო აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). C გარემო (ინტეგრირებული სწავლებისთვის) - წარმოადგენს ლაბორატორიულ კაბინეტს სადაც განთავსებულია სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი მოწყობილობა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის და სხვა პროგრამისათვის საჭირო მასალა-ნედლეული, ხოლო პროგრამის ფარგლებში დარგობრივი პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად კოლეჯში მოწყობილია 2 C გარემო, სადაც განთავსებულია, ერთი მხრივ, ბარ-რესტორნის აღჭურვილობა, მეორე მხრივ, ღონისძიების გაფორმებისთვის საჭირო ტექნიკური აპარატურა: ხმის გამაძლიერებელი, მიქშერი, მიკროფონი.
   პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით მოთხოვნილი კვოტის შესაბამისად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სასტუმროსთან ,,King David“, სს ,,გუდვილთან“, სასტუმროსთან ,,ამბასადორი“, შპს ,,გგმ“-თან მოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა“ პროფესიული ექსკურსიის ორგანიზების მიზნით.
2. კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,ღონისძიების ორგანიზება“ განაცხადში დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია. სულ პროგრამას განახორციელებს 33 პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 6 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი 9 მოდულის მიხედვით საკმარისია. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს მასწავლებელი. დაწესებულებას სტარტეგიული განვითარების გეგმაში გაწერილი აქვს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით აქტივობები. ასევე, ინტერვიუს ფარგლებში, ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული პროგრამების განხორციელების გამოცდილება და გავლილი აქვთ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული სხვადასხვა ტრენინგები, ხოლო ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლები კი შეირჩა განათლების და მეცნიერების სამინისტროს მონაწილეობით და მათ ჩაუტარდათ მიზნობრივი ტრენინგ კურსები მოდულების გამხორციელების მიდგომების ათვისების მიზნით.

4. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2021 წლის 25 მარტის ბრძანება N01-06/02 ,,პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ“. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლითა და ინტერვიუს ფარგლებში გასაუბრების შედეგების საფუძველზე, დადასტურდა რომ იგი წარმოადგენს დარგის წარმატებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სპეციალისტს, არის ძალზე მოტივირებული და აქვს მზაობა პროგრამას გაუწიოს ხელმძღვანელობა დაწესებულების დადგენილი წესების შესაბამისად.

5. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. „ბიბლიოთეკის დებულება“ და „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. ექსპერტთა მიერ დისტანციური ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, და ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. დაწესებულების ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევით გადამოწმდა სასწავლო რესურსები. დაწესებულების ბიბლიოთეკაში დაცული სასწავლო რესურსები (ლიტერატურა, რიდერები) შეესაბამება მოდულებით განსაზღვრულს. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ა(ა)იპ კოლეჯ იკაროსის დირექტორის მიერ 2020 წლის 3 ივნისის ბრძანებით N01-09/ 75 დამტკიცებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელშიც გაწერილია სსსმ პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებები - ინდივიდუალური მუშაობა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. შესაბამისად, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

7. საგანმანათლებლო პროგრამა - ღონისძიების ორგანიზება ფინანსურად მდგრადია, დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

სახეები და ოდენობა: შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია 51510 ლარი, რომელიც სრულად არის წარმოდგენილი ხარჯების ნაწილში. რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს ჯგუფში 15 სტუდენტი. დაფინანსების წყაროა ვაუჩერული დაფინანსება და პროგრამული დაფინანსება. ბიუჯეტის ანალიზით დგინდება, რომ პროგრამის მდგრადობას დაფინანსების მიხედვით საფრთხე არ ემუქრება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“, მოდულები, სასწავლო გეგმა;
- ა(ა)იპ კოლეჯ იკაროსის დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/82 ბრძანება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - კოლეჯ იკაროსის ბიბლიოთეკის დებულებისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ;
- ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ დირექტორის მიერ 2021 წლის 25 მარტს N01-09/49 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“;
- ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ კოლეჯის წესდება;
- ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ დირექტორის მიერ 2020 წლის 3 ივნისის ბრძანებით N01-09/ 71 დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“;
- ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ დირექტორის მიერ 2020 წლის 3 ივნისის ბრძანებით N01-09/ 75 დამტკიცებული ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“;
- ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ 2020-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ღონისძიების ორგანიზება“ ბიუჯეტი;
- ა(ა)იპ კოლეჯ ,,იკაროსის“ დირექტორის 2021 წლის 25 მარტის ბრძანება N01-06/02 ,,პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ“;
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის მასწავლებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ დირექტორის მიერ 2020 წლის 3 ივნისის ბრძანებით N01-09/ 71 დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“, რომლის მე-2 მუხლი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურას და წესს, რომელიც ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სტატისტიკური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ინფორმაციის დამუშავებას, მუხლი 6, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ პროგრამაში ცვლილებების შეტანას, მათ შორის შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით და პროგრამის შეფასება მე-7 მუხლის მიხედვით, რომელიც ეყრდნობა კვლევებს, მათ შორის დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს. საერთო ჯამში, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.

2. ა(ა)იპ კოლეჯ ,,იკაროსის“ დირექტორის 2020 წლის 3 ივნისის N 01-09/87 მიერ გამოცემულია ბრძანება ,,ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცებისა და შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“. დოკუმენტი ეყრდნობა დემინგის ციკლს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“, მასში მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა შესასრულებელი სამუშაოების ვადებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით, დემინგის ციკლის ეტაპების მიხედვით განსახორციელებელი სამუშაოების ჩატარების წესები, კითხვარები კვლევებისთვის, მონიტორინგის ფორმები და სხვ. კოლეჯი ახორციელებს გამოკითხვებს პროგრამის შეფასების მიზნით რომელთა საშუალებით ხდება ინფორმაციის შეგროვება პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების, კოლეჯის ადამიანური და მატერიალური რესურსის შეფასების და სხვ. კოლეჯის ხარისხის სამსახური ახორციელებს აღნიშნული კითხვარების დამუშავებას, ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას. აღნიშნული ადასტურებს, რომ კოლეჯი პროგრამის განვითარებისთვის იყენებს მონიტორინგისა და კვლევის შედეგებს. ხარისხის შეფასების შედეგების მიხედვით, დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, რომელიც ასახულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 3 ივნისის ბრძანებით N01-09/ 71 დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების“ მე-6 მუხლში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯ ,,იკაროსის“ დირექტორის მიერ 2020 წლის 3 ივნისის ბრძანებით N01-09/ 71 დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“;
- ა(ა)იპ კოლეჯ ,,იკაროსის“ დირექტორის 2020 წლის 3 ივნისის N 01-09/87 მიერ გამოცემულია ბრძანება ,,ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცებისა და შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- ხარისხის მართვის მენეჯერთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ანალიზი. იგი განხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგებითაც;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია, როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით. ა(ა)იპ კოლეჯ ,,იკაროსის“ დირექტორის 2020 წლის 3 ივნისის N 01-09/75 მიერ გამოცემულია ბრძანება ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ”, რომელშიც გაწერილია მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.
3. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამი „ღონისძიების ორგანიზება“ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების ათვისებას. პროგრამის ხელმძღვანელმა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება გეგმავს მასწავლებელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიულ გადამზადებას, როგორც დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებში, ასევე, საჭიროებისამებრ, სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ონლაინ სწავლების უზრუნველსაყოფად.

4. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით „ღონისძიების ორგანიზება“ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, დაწესებულებას აქვს შესაბამისი მზაობა, მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილი მექანიზმები: ა(ა)იპ კოლეჯ ,,იკაროსის“ დირექტორის 2020 წლის 3 ივნისის N 01-09/75 მიერ გამოცემული ბრძანება ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ” და ა(ა)იპ კოლეჯ ,,იკაროსის“ დირექტორის 2020 წლის 3 ივნისის N 01-09/75 მიერ დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”, რომელშიც გაწერილია სსსმ და შშმ სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები და პროცედურები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ საწარმოებთანმოდულის ,,გაცნობითი პრაქტიკა“ პროფესიული ექსკურსიის ორგანიზების მიზნით: სასტუმროსთან ,,King David“, სს ,,გუდვილთან“, სასტუმროსთან ,,ამბასადორი“, შპს „გგმ“-თან, რაც დასტურდება სათანადო ინფორმაციის შემცველი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით;
6. ა(ა)იპ კოლეჯ ,,იკაროსში“ სასწავლო პროცესის განსახორციელებლად შექმნილია უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ ფარგლებში სპეციფიკური უსაფრთხოების წესები გამოკრულია C გარემოში. პროფესიულ სტუდენტები სწავლის დაწყებამდე გაეცნობიან შესაბამის ინსტრუქტაჟს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“ სასწავლო გეგმა,მოდულები;
- ა(ა)იპ კოლეჯ ,,იკაროსის“ დირექტორის 2020 წლის 3 ივნისის N 01-09/75 მიერ გამოცემული ბრძანება ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ;
- ა(ა)იპ კოლეჯ ,,იკაროსის“ დირექტორის 2020 წლის 3 ივნისის N 01-09/75 მიერ დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF EraserFree

- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ა(ა)იპ კოლეჯ ,,იკაროსის“ დირექტორის მიერ 2020 წლის 12 ივნისს N 01-09/91 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესის ადმინისტრირების შესახებ“. მასში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, შეფასების პრინციპები, პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის წესი, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, კვალიფიკაციის მინიჭების წესი და სხვა. ასევე თავი V ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ ეძღვნება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას, გასაჩივრების მექანიზმებს. კოლეჯში ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესი. ზემოთ აღნიშნული წესების გაცნობა პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ კოლეჯის ვებგვერდზე, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ სწავლის დასაწყისში ხდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება კოლეჯში მოქმედი წესების შესახებ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი"დირექტორის 2020 წლის 3 ივნისის N01-09/88 ბრძანებით დამტკიცებულ ,,ვერიფიკაციის მექანიზმისა და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" დოკუმენტში. კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია და მოიცავს შერჩევის მექანიზმებს (რისკების სისტემას), ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირისა და განმახორციელებელი პირების განსაზღვრას იმგვარად, რომ ინტერესთა კონფლიქტი თავიდან იქნას აცილებული, პროცედურას და ა.შ.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ შიდა ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზებას ახორციელებს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი წინასწარ შედგენილი შიდა ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შესაბამისი ცონდისა და კვალიფიკაციის მქონე შიდა ვერიფიკატორების ჯგუფი, რომლებიც ამოწმებენ შემუშავებულ და შეთანხმებულ შეფასების ინსტრუმენტებს და მტკიცებულებებს შერჩევითობის პრინციპის საფუძველზე რისკების გათვალისწინებით (მაგ. დამწყები მასწავლებლის მასალები, გამოკითხვაში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე და სხვა). შიდა ვერიფიკატორების მიერ ჩატარებული შემოწმებების და მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი ადგენს ანგარიშს და რეკომენდაციებს, მათი შესრულების გეგმას და პროცესის დასრულებისას ანგარიშს მათი შესრულების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ კოლეჯში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. კოლეჯი შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უზრუნველყოფს ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად. კოლეჯში მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები კი ინახება მუდმივად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის მენეჯერი პერმანენტულად აანალიზებს შეფასების შედეგებს და პერიოდულად ანგარიშს წარუდგენს დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და მიღწევების სტატისტიკური მონაცემების შეფასება და ანალიზი განხორციელდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და გამოიყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისთვის.

დასტურდება

(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი"დირექტორის 2020 წლის 3 ივნისის N01-09/88 ბრძანებით დამტკიცებულ ,,ვერიფიკაციის მექანიზმისა და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ"
- კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

31/05/21
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------